სახელმძღვანელო განკუთვნილია არაჩინელი სტუდენტებისათვის და მოიცავს 30 გაკვეთილს. წიგნის კომპლექსური სტრუქტურა ხელს უწყობს ჩინური ენის მარტივად ათვისებას.

ყველა გაკვეთილი თემატურია, ითვალისწინებს ჩინური ენის გრამატიკის თავისებურებებს, თანამედროვე ჩინურ ენაზე შედგენილ სასაუბრო ტექსტებს, ყოველდღიური კომუნიკაციისათვის საჭირო ფრაზებს, ფონეტიკურ სავარჯიშოებს, ახალი, ასევე დამატებითი სიტყვების ნუსხას ლათინური ტრანსკრიფციით, ტექსტებს (უმეტესად დიალოგის ფორმით) აუდიოჩანაწერების თანხლებით, განმარტებებს, იეროგლიფების წერის წესებს და სხვ.

აღსანიშნავია, რომ წიგნს თან ერთვის ჩინური ენის ლათინური ანბანის ქართული ტრანსკრიფციის ცხრილი და მსაზღვრელთა გამარტივებული ნუსხა.

სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტ ახალგაზრდობას არა მარტო ჩინური ენის დაუფლებაში, არამედ ჩინეთის ისტორიის, ტრადიციებისა და კულტურის გაცნობაში.